ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ახორციელებს სხვადასხვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურებას:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტანსოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატანსპორტო ტექნიკურ-ტანსოლოგიური ექსპერტიზა;
- ხელსაწყული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტერული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- ჯვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ისტორიული ექსპერტიზა;
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური);
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად იცავენ გაკეთული დასკვნების ჭეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიმართლის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....
5000059014 201 წ.
09.01.2014

5000059014

შპს ,,SAYALI"-ს წარმომადგენელს ბნ პაატა ხათაშვილს

(თბილისი დ.კლდიაშვილის ქ. N15 ბ. 25)

ბატონო პაატა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 24 დეკემბრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1007328513) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000078614 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

ЭКСПЕРТИЗА ГЕОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ

НАЧАЛО: 24 ДЕКАБРЯ 2013 г.

ЗАВЕРШЕНИЕ: 9 ЯНВАРЯ 2014 г.

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84 (995 32) 225 84 84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia (995 32) 229 05 24 info@forensics.ge
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 (995 431) 21 30 03
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia info@forensics.ge
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145 (995 422) 27 94 30
145 Pushkini str. Batumi., Georgia info@forensics.ge

033378

000078614

ექსპერტის დასკვნა № 000078614

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს SAYALI

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: თბილისი დ.კლდიაშვილის ქ. N 15 ბ. 25

სახელი და გვარი: პაატა ხათაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

გაბრიელ ჭინჭარაული / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) მოწვეული სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 43 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაატაროთ გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზა.

შემოსვლის თარიღი: 24.12.2013წ

გასვლის თარიღი: 09.01.2014წ

დასკვნა

შპს ,,გეოტექსერვისი"-ს მიერ, ქ. თბილისში დ. უზნაძის #58 და უ. ჩხეიძის #17 ქუჩების გადაკვეთაზე მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ქვემოთ მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ ის შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს.

გაბრიელ ჭინჭარაული

გამოკვლევა

2013 წლის დეკემბრის თვეში შემოწმდა ქ. თბილისში დ. უზნაძის #58 და უ. ჩხეიძის #17 ქუჩების გადაკვეთაზე მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოცულობების და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და

სტანდარტების მოთხოვნებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა რომელიც შეიცავს:

1. ტექსტური დავალება და მასზე დართული გეგმა - 2 გვ;

2. დასკვნის ტექსტი - 26 გვ;

ტექსტური დანართები

1. ლაბორატორიული კვლევის შედეგების ჯამური ცხრილი - 2ფ;

2. გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობის ჯამური ცხრილი - 1ფ;

3. გრუნტების გრანულომეტრიული შემადგენლობა - 24ფ;

4. წინააღმდეგობა სამღერძა კუმშვაზე (სწრაფი მეთოდი - UU) – 45ფ;

5. გრუნტების ძვრაზე გამოცდის ლაბორატორიული შედეგები - 6ფ;

6. გრუნტების წინააღმდეგობა ერთღერძა კუმშვაზე - 57ფ;

7. გრუნტების ქიმიური შემადგენლობა - 2ფ;

8. გრუნტების აგრესიულობა - 1ფ;

9. გრუნტის წყლის ქიმიური შემადგენლობა - 1ფ;

10. გრუნტის წყლის აგრესიულობა - 3ფ;

11. გარემოს აგრესიულობა - 1ფ;

12. ფოტოდანართები - 5ფ;

გრაფიკული დანართები

1.ჭაბურღილების და ჭრილების განლაგების ტოპოგეგმა მასშტაბი 1:1000 – 1ფ;

2. ჭაბურღილების ჭრილები - 17ფ;

3. ლითოლოგიური ჭრილები:

3.1 ლითოლოგიური ჭრილი 1-1¢ - 1ფ;

3.2 ლითოლოგიური ჭრილი 2-2¢ - 1ფ;

3.3 ლითოლოგიური ჭრილი 3-3¢ - 1ფ;

3.4 ლითოლოგიური ჭრილი 4-4¢ - 1ფ;

3.5 ლითოლოგიური ჭრილი 5-5¢ - 1ფ;

3.6 ლითოლოგიური ჭრილი 6-6¢ - 1ფ.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა და ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილია შპს „Sayali“-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „გეოტექსერვისი“-ს მიერ. 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში დასაპროექტებელი შენობის

ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

საკვლევი უბნის ბუნებრივი პირობების დახასიათებაში პირველ თავში ქვეთავებად მოცემულია ინფორმაცია კლიმატის, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური პირობების და გეოლოგიური აგებულების შესახებ, კლიმატის მახასიათებლები აღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის ნორმებიდან, პნ 01.05-08. საქართველოს კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით უბანი მიეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. მოყვანილია კლიმატის ყველა ძირითადი მახასიათებლები. აღნიშნულია რომ უბანი გეომორფოლოგიურად მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირეთში (სანაპიროს მიმდებარედ), რომელიც ტექნოგენური რელიეფით ხასიათდება. სრულყოფილად არის მოცემული უბნის ტექტონიკურ-გეოლოგიური აგებულება, რომლის მიხედვითაც უბანი და მისი შემოგარენი აგებულია შუა და ზედა ოლიგოცენური ასაკის P_3^{2+3} ნალექებით, რომლებიც ლითოლოგიურად არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობითაა წარმოდგენილი. ეს ნალექები ზევიდან დაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ნაყარი გრუნტებით. გამოკვლეული ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ უბანზე მეოთხეული ასაკის ნალექები შეიცავენ ფოროვანი ცირკულაციის წყლებს, ხოლო ძირითადი ქანების ზედა გამოფიტულ ზონაში კი ცირკულირებენ ნაპრალოვანი წყლები. გრუნტის წყლის დამყარების დონეები ჭაბურღილებში 1,2-3,8 მ-ის ფარგლებშია. გრუნტის ნიმუშების და გრუნტის წყლის სინჯების გამოკვლევა ჩატარებულია შპს „გეოტექსერვისი“-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

მე-2 თავში - „ჭაბურღილების ბურღვა“ - აღნიშნულია რომ სამშენებლო უბანზე გაიბურღა 10 ჭაბურღილი. მოცემულია მათი სიღრმეები. ჭაბურღილებიდან აღებულია 47 ნიმუში, მათ შორის 24 დაუშლელი და 23 დაშლილი სტრუქტურის. გამოკვლეული ტერიტორია გაყოფილია ორ უბნად და ჭაბურღილების მიხედვით მოცემულია თითოეული უბნის ლითოლოგიური ჭრილის აღწერა. ჭაბურღილებში ჩატარებული სტანდარტული პენეტრაციის (S.P.T.C) ცდების შედეგები მოყვანილია ცხრილის სახით. ცდების შედეგების B+C (დარტყმების ჯამური სიდიდე) მიხედვით მოცემულია უბანზე გავრცელებული გრუნტების კონსისტენცია და სიმკვრივე.

მე-3 თავში - „გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიურ დახასიათება“-ში გამოკვლეული უბნის ამგებ ლითოლოგიურ გარემოში გამოყოფილია 8 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - ს.გ.ე. მოცემულია თითოეული ელემენტის გრუნტის დახასიათება. იქვე მოყვანილია უბანზე გავრცელებული გრუნტების კატეგორიები სეისმურობის მიხედვით და უბნის სეისმურობა.

მე-4 თავში განხილულია უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობები. გრუნტის წყლები გახსნილია ყველა საძიებო ჭაბურღილით. მოყვანილია ჭაბურღილებში წყლის დონეების ინტერვალები და გამოვლენის დონეებთან მათი სხვაობა. ჭაბურღილებიდან აღებული წყლის 6 სინჯის ქიმიური ანალიზების მიხედვით შეფასებულია აგრესიულობის ხარისხი სხვადასხვა მარკის ბეტონების მიმართ.

მე-5 თავში - „ლითოლოგიური ჭრილების აღწერა“ - გამოკვლეულ ტერიტორიაზე აგებულია 6 ლითოლოგიური ჭრილი. თითოეული ჭრილი აღწერილია ცალკე. აღწერა დეტალურია, მის ბოლოში მოყვანილია გრუნტის წყლის დამყარების დონეები.

ტექნიკური დოკუმენტაციის დასკვნით ნაწილში (მე-6 თავი) შენობის ფუნდირებისათვის ხელსაყრელად მიჩნეულია ს.გ.ე. 3-ს, ს.გ.ე. 6-ს და ს.გ.ე. 7-ის გრუნტები. მოყვანილია 1 და 5 სართულიანი შენობების დაფუძნების ვარიანტები. მოცემულია გრუნტების და გრუნტის წყლების აგრესიულობის ხარისხი ბეტონების და არმატურის მიმართ. ცხრილში 6.1. მოცემულია უბანზე გავრცელებული გრუნტების კატეგორიები სეისმურობის და დამუშავების სიძნელის მიხედვით. აგრეთვე ქვაბულის ფერდოს დროებითი ქანობები. იქვეა მოცემული საპროექტო გაანგარიშებებისათვის ყველა ს.გ.ე.-ს გრუნტების (ნაყარი გრუნტის გამოკლებით) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების პარამეტრთა საანგარიშო მახასიათებლების მნიშვნელობები. უნდა აღინიშნოს, რომ საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგები გაფორმებულია მაღალ პროფესიულ დონეზე და უდაოდ იმსახურებს დადებით შეფასებას.

ამასთანავე ტექნიკური დოკუმენტაციის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. ტექნიკური დავალება ხელმოუწერელია.

2. დასკვნის ტექსტში მოცემული არ არის გამოკვლეული სამშენებლო ტერიტორიის სირთულის კატეგორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით.

3. დასკვნის ტექსტის მიხედვით (გვ.15) ჭაბურღილებიდან აღებული დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის ნიმუშები შეადგენს 24-ს დაშლილის 23-ს. ჭაბურღილების ლითოლოგიურ სვეტებზე (ჭრილებზე) ეს მონაცემები პირობითი აღნიშვნების მიხედვით არ დასტურდება.

4. სტანდარტული პენეტრაციის (S.P.T.) ტესტების შედეგების მიხედვით გრუნტების კონსისტენციის და სიმკვრივის შეფასებისას საჭირო იყო ნორმატიული დოკუმენტის მითითება.

5. ტექსტურ ნაწილში გვ.14 გაპარულია უზუსტობა: „ზედა ეოცენურის“ ნაცვლად უნდა იყოს „შუა და ზედა ოლიგოცენური“.

6. ს.გ.ე. 5, 6 და 7-ის გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათებისას საჭირო იყო დარბილების კოეფიციენტის (K_{sof}) მოყვანა.

7. ლითოლოგიურ ჭრილებზე გამორჩენილია ხელმოწერები.

ამრიგად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქ. თბილისში დ. უზნაძის #58 და უ. ჩხეიძის #17 ქუჩების გადაკვეთაზე მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების და გასწორების შემდეგ ის შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს.

გაბრიელ ჭინჭარაული

გამოყენებული მასალები

ქ. თბილისში დ. უზნაძის #58 და უ. ჩხეიძის #17 ქუჩების გადაკვეთაზე მრავალპროფილური საავადმყოფოს მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია

გამოყენებული (ლიტერატურა, სტანდარტები, რეგლამენტები...)

ს.ნ. და წ. 1.02.07-87

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საერთაშორისო ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ჰეპონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს ჯონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სატვალიფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ურთიერთის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ხარისხის მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

WWW.FORENSICS.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

(995 32) 225 84 84

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
(995 32) 229 05 24

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
info@forensics.ge

ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
(995 32) 225 84 84 30 03

5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
info@forensics.ge

ბათუმი 6014, პ. მელიქიშვილის ქ. №102
(995 32) 225 84 84 31 03

105 P. Meliqishvili str., 6014 Batumi, Georgia
info@forensics.ge